ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №187

2011 წლის 28 დეკემბერი
ქ. ქობულეთი

ქ. ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა №299-ის მოპირდაპირედ 1000 კვ.მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საწყისი ფასის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ქ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. ქ.ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა №299-ის მოპირდაპირედ 1000 კვ.მ. (ს/კ №20.42.03.244) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საპრივატიზებო საწყისი ფასი განისაზღვროს 21000 (ოცდაერთი ათასი) ლარის ოდენობით.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ ქ.ქობულეთი, რუსთაველის ქუჩა №299-ის მოპირდაპირედ 1000 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შემდგომი განკარგვის მიზნით იმოქმედოს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი).

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30).

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე